შპს "ველე დეველოპმენტ" / „Vele Development" LTD
ს/ნ 412724164 I/N 412724164
ქ.ქუთაისი შევჩენკოს 8 / Georgia.Kutaisi.Shevchenko 8

თარიღი 13.11.2024
ნომერი 13.11-01

თანხმობა

მე, თემურ ქარქაშაძე (პ/ნ 6001136491), როგორც შ.პ.ს ,,ველე დეველოპმენტის" (ს/კ 412724164) დირექტორი, თანახმა ვარ, მეირ შავიტმა, ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის III შესახვევი, N 3-ში მდებარე ფართზე (საკ.კ. 01.10.13.034.002.01.05.009) სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარადგინოს შესათანხმებლად ნებისმიერი განცხადება, მიიღოს პასუხები და განახორციელოს ყველა ქმედება საჭიროებისამებრ, რომელიც შეეხება ზემოთ ხსენებულ საკადასტრო კოდს.

შპს ველე დეველოპმენტი
ს/ნ 412724164
დირექტორი : თემური ქარქაშაძე

T:+995 555 72 22 22
Email:vele.development@gmail.com

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

72572335657225

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250027358

რეგისტრაციის თარიღი

14.01.2025 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის თოთხმეტ იანვარს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.14 ა-ში მომმართა **შპს მეირ შავიტის სტუდია-ს (ს/ნ 400130407) დირექტორმა მეირ შავიტ-მა** .მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **შპს მეირ შავიტის სტუდია-ს (ს/ნ 400130407) დირექტორმა მეირ შავიტ-მა (დაბ.27.07.1958წ ისრაელის პასპორტი 23951379 პ/ნ 3-1058568-2)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადადა წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შპს მეირ შავიტის სტუდია-ს (ს/ნ 400130407) დირექტორმა მეირ შავიტ-მა (დაბ.27.07.1958წ ისრაელის პასპორტი 23951379 პ/ნ 3-1058568-2)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **კობა ტყემალაძეს (დაბ.22.02.1975წ პ/ნ 54001024223)** „შემდგომში-რწმუნებული“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს **შპს მეირ შავიტის სტუდია-ს (ს/ნ 400130407)** სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში. **შპს მეირ შავიტის სტუდია-ს (ს/ნ 400130407)** სახელით შეიტანოს განცხადება, თანხმობა, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დ'უბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.
წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 31-ე, **მუხლისა**, და დღგ. 5.4 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის N169-ე მუხლის პირველი ნაწილისა აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის 507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ----------

ნოტარიუსი ---------- ქ. ოდილავაძე